დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 12 აგვისტოს №352 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 5 ოქტომბრის №ძ 43 ბრძანებით, 2021 წლის 6 აპრილის №ძ 49 ბრძანებითა და 2024 წლის 28 თებერვლის №ძ 32 ბრძანებით და 2025 წლის 5 მარტის №ძ 16 ბრძანებით

შპს „ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის“

ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი

2020 წელი

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები....3
მუხლი 2. ეთიკის ნორმები ადმინისტრაციული/დამხმარე/სამეცნიერო პერსონალისთვის....3
მუხლი 3. ეთიკის ნორმები აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის....4
მუხლი 4. ეთიკის ნორმები სტუდენტებისთვის....5
მუხლი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები....6
მუხლი 6. დისციპლინური წარმოების დაწყება....6
მუხლი 7. განცხადების/საჩივრის განხილვა....7
მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი....8
მუხლი 9. დასკვნითი დებულებები....9

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსი (შემდგომში - ,,კოდექსი“) განსაზღვრავს შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის (შემდგომში - „ უნივერსიტეტი“) პერსონალისა და სტუდენტთა ქცევის წესებს, ასევე ადგენს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომებს და დისცილინურ წარმოებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

2. კოდექსის მიზანია უნივერსიტეტში ქცევის ისეთი წესების დამკვიდრება, რომლებიც ხელს შეუწყობს:

ა) დასაქმებული პესონალისა და სტუდენტების პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცებას;

ბ) თვითდისციპლინას და სხვათა პატივისცემას, ასევე კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და აკადემიური თავისუფლების დამკვიდრებას;

გ) უნივერსიტეტის პერსონალის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა პროფესიონალურ დონეზე განხორციელებას;

დ) სამართლიანი, ეფექტიანი და მიუკერძოებელი საქმიანობის განხორციელებას;

ე) პროფესიულ საქმიანობაში საკანონმდებლო და შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტების მოთხოვნების დაცვას.

3. კოდექსის მოქმედება თანაბრად ვრცელდება უნივერსიტეტის სტუდენტებზე და უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ, მოწვეულ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალზე.

მუხლი 2. ეთიკის ნორმები ადმინისტრაციული/დამხმარე/სამეცნიერო პერსონალისთვის

1. უნივერსიტეტის პერსონალი უნივერსიტეტში მოქმედებს კეთილსინდისიერების, პასუხისმგებლობის, ურთიერთპატივისცემის, მიუკერძოებლობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებისა და ეთიკის ნორმების დაცვით.

2. პერსონალი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავი აარიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

ბ) ხელი შეუწყოს სხვა დასაქმებული პერსონალის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

გ) წინასწარი განზრახვით არ შეიყვანოს კოლეგა შეცდომაში;

დ) არ დაუშვას კოლეგისა და სტუდენტის პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება;

ე) არ დაუშვას მისთვის ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემების გაცემა/გავრცელება, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

ვ) არ გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი პირადი გამორჩენის მიზნით;

ზ) არ დაუშვას პერსონალის/სტუდენტის ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია;

თ) არ დაუშვას კოლეგის/სტუდენტის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გარცელება;

ი) უნივერსიტეტში არ გამოცხადდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. უნივერსიტეტის შენობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში;

კ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის ქონებისადმი სათანადო მოპყრობა და მისი გამოყენება მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის;

ლ) უარი თქვას ნებისმიერ საჩუქარზე/შეთავაზებაზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი მხრიდან კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

მ) არ დაუშვას უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში მონაწილეობა ან/და ვალდებულების აღება, რაც შეუთავსებელია უნივერსიტეტის ინტერესებთან ან ხელს უშლის სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელებაში;

ნ) უნივერსიტეტის შენობაში არ მოწიოს თამბაქო, გარდა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა;

ო) უზრუნველყოს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვა.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები და მისი დაკისრების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

მუხლი 3. ეთიკის ნორმები აკადემიური/მოწვეული პერსონალისთვის

1. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია:

ა) სასწავლო კურსით გათვალისწინებული შეფასების სისტემისა და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, უზრუნველყოს ყველა სტუდენტის სამართლიანად და ობიექტურად შეფასება;

ბ) უზრუნველყოს სტუდენტთა თანაბარი მოპყრობა;

გ) დაიცვას აკადემიური პატიოსნების პრინციპები, რაც გამორიცხავს პლაგიატს;

დ) დაიცვას აკადემიური ჩაცმის სტილი;

ე) ხელი შეუწყოს კოლეგებს შორის ურთიერთნდობის დამკვიდრებას და თავი აარიდოს პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობას ან გაღვივებას;

ვ) არ დაუშვას კოლეგისა და სტუდენტის პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება ან უსაფუძვლო ბრალდება;

ზ) არ დაუშვას მისთვის ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემების გაცემა, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

თ) არ გამოიყენოს თანამდებობრივი მდგომარეობა და საკუთარი ავტორიტეტი პირადი გამორჩენის მიზნით;

ი) უარი თქვას ნებისმიერ საჩუქარზე/შეთავაზებაზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი მხრიდან კონკრეტულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

კ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის ქონებისადმი სათანადო მოპყრობა და მისი გამოყენება მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებისათვის;

ლ) უნივერსიტეტში არ გამოცხადდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. უნივერსიტეტის შენობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში;

მ) არ დაუშვას უნივერსიტეტის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში მონაწილეობა ან/და ვალდებულების აღება, რაც შეუთავსებელია უნივერსიტეტის ინტერესებთან ან ხელს უშლის სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელებაში;

ნ) არ მოწიოს თამბაქო, გარდა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა;

ო) უზრუნველყოს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები და მისი დაკისრების წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით.

მუხლი 4. ეთიკის ნორმები სტუდენტებისთვის

სტუდენტი ვალდებულია:

ა) პატივი სცეს უნივერსიტეტის პერსონალს და სხვა სტუდენტებს;

ბ) უნივერსიტეტში არ შეიტანოს ალკოჰოლური, ნარკოტიკული საშუალებები, იარაღი (ცივი, ცეცხლასროლი) ასევე, აკრძალულია აზარტული თამაშები და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული აკრძალული საქმიანობის განხორციელება;

გ) უნივერსიტეტში არ გამოცხადდეს ალკოჰოლური თუ სხვა ძლიერმოქმედი ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. უნივერსიტეტის შენობაში ალკოჰოლური სასმელის მიღება დასაშვებია მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებათა ფარგლებში;

დ) უზრუნველყოს უნივერსიტეტის ქონებისადმი სათანადო მოპყრობა და მისი გამოყენება მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისათვის;

ე) უზრუნველყოს თანამოსაუბრეებისადმი პატივისცემით მოპყრობა და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმისას დაიცვას ეთიკის ნორმები;

ვ) არ მოწიოს თამბაქო, გარდა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა;

ზ) არ დაანაგვიანოს უნივერსიტეტის ტერიტორია;

თ) არ დააზიანოს ან/და არ განახორციელოს ნებისმიერი სახის უარყოფითი ზემოქმედება უნივერსიტეტის შიდა ელექტრონული პროგრამებზე/ელექტრონულ ბაზებზე;

ი) დაიცვას ეთიკის კოდექსი, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები, საგამოცდო პროცესის ადმინისტრირების წესი, ასევე უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები;

კ) სტუდენტი ვალდებულია არ ჩაიდინოს აკადემიური სიყალბე, მათ შორის, პლაგიატი. სტუდენტის მხრიდან აკადემიურ სიყალბედ ჩაითვლება:

კ.ა) სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან გადაწერა, ან ისეთი სახის დამხმარე მასალის გამოყენება, რომელიც აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ წინასწარ არ ყოფილა ნებადართული;

კ.ბ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება ან სხვა პირისთვის მის მაგივრად გამოცდის ჩაბარების შესახებ თხოვნა;

კ.გ) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება;

კ.დ) სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩინება;

კ.ე) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება ან შეცვლა;

კ.ვ) აკადემიურ/მოწვეულ პერსონალზე ზეწოლა შეფასების მისაღებად;

კ.ზ) შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე სხვისი ნაშრომის ან გამონათქვამის ციტირება.

მუხლი 5. დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები

1. ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებია:

ა) უნივერსიტეტის დებულების, პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების, უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ბ) ამ კოდექსით გათვალისწინებული ეთიკის ნორმების დარღვევა.

3. ეთიკის კოდექსისა და შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი სახდელები:

ა) გაფრთხილება;

ბ) შენიშვნა;

გ) საყვედური;

დ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სტიპენდიით/ფინანსური შეთავაზებით[1] სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან შეწყვეტა;

ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.[1]

მუხლი 6. დისციპლინური წარმოების დაწყება

1. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია უნივერსიტეტში დასაქმებული ნებისმიერი პირის ან/და სტუდენტის დასაბუთებული განცხადება/საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები, ან ზიანი მიადგა ან შეიძლება მიადგეს უნივერსიტეტის ან სხვა პირების ინტერესებს.

[1] ფინანსური შეთავაზება გულისხმობს სწავლის საფასურის სრულად, ან ნაწილობრივ დაფინანსებას, საუნივერსიტეტო სტიპენდიას, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების დაფინანსებას და სხვა.

2. დაინტერესებული პირი დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს.

3. დაინტერესებული პირის განცხადებით მიმართვის შემთხვეევაში, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე, რექტორის სამართლებრივი აქტით იქმნება დისციპლინური კომისია (შემდგომში - „დისციპლინური კომისია“), რომელსაც გადაეცემა შემოსული დოკუმენტაცია. დისციპლინური კომისია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის დაწყების ან დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

4. დისციპლინური წარმოების დაწყების შემთხვევაში დისციპლინურ კომისიას გააჩნია შემდეგი უფლებამოსილებები:

ა) შეისწავლოს მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია, მოისმინოს დაინტერესებული მხარეების ახსნა - განმარტება;

ბ) საკითხის ყოველმხრივ და ობიექტურად შესწავლის მიზნით, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია/მტკიცებულებები;

გ) დისციპლინური გადაცდომისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შემთხვევაში, შესაბამისი გადაწყვეტილება აღსრულებისათვის წარუდგინოს უნივერსიტეტის რექტორს.

5. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტის მიმართ დაიწყება დისციპლინური წარმოება, იგი სარგებლობს შემდეგი უფლებებით:

ა) წერილობითი ფორმით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

ბ) დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

გ) მიაწოდოს დისციპლინურ კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

დ) მონაწილეობა მიიღოს საკითხის გამოკვლევაში;

ე) მოითხოვოს, მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

6. დისციპლინური წარმოების დაწყება არ ზღუდავს სტუდენტს მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, უნივერსიტეტის საკუთრების და უსაფრთოების დაცვას.

მუხლი 7. განცხადების/საჩივრის განხილვა

1. დისციპლინურმა კომისიამ განცხადება/საჩივარი უნდა განიხილოს შეჯიბრებითობისა და კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით.

2. დისციპლინური კომისიის სხდომები დახურულია, ხოლო დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია კონფიდენციალური.

3. დისციპლინური კომისია გადაწყვეტილებას იღებს ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

4. საჭიროების შემთხვევაში, დისციპლინური კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს სხვა პირები.

5. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებულ მტკიცებულებებს. ყველა მტკიცებულება, რომლებიც დისციპლინური წარმოების საფუძველია, უნდა გამოიკვლიოს დისციპლინურმა კომისიამ.

6. დისციპლინის დამრღვევს უფლება აქვს დაესწროს საკითხის განხილვას. დაასაბუთოს საკუთარი ქმედების შესაბამისობა დისციპლინური კოდექსის ძირითად პრინციპებთან.

7. დისციპლინურ კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე დისციპლინის დამრღვევის დასწრების გარეშე და სათანადო საფუძველის არსებობის შემთხვევაში, გამოიტანოს გადაწყვეტილება და დააკისროს დისციპლინური სახდელი.

8. დისციპლინური კომისია დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით. დისციპლინური კომისია ადგენს ოქმს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის საქმის მასალას.

9. დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს აღსასრულებლად. სტუდენტი უფლებამოსილია აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 8. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი

1. გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული და მიღებულ იქნეს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი შესწავლის შედეგად.

2. დაკისრებული დისციპლინური პასუხიმგებლობის ზომა უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული/თანაზომიერი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დისციპლინური კომისია სტუდენტისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღნიშნული პრინციპის დაცვით.

3. სხვის ნაცვლად საგამოცდო ნაშრომის შესრულების შემთხვევაში, შესრულებული ნაშრომი არ შეფასდება და სტუდენტს უფორმდება შეფასება „0“, ასევე გამოეცხადება საყვედური. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი სარგებლობს სტიპენდიით/ფინანსური შეთავაზებით ასეთ შემთხვევაში მის მიმართ გამოყენებული იქნება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სანქცია. სტუდენტს, რომელსაც ჰქონდა მცდელობა სხვის ნაცვლად ჩაებარებინა გამოცდა გამოეცხადება შენიშვნა. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა სტუდენტის მიერ სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან ან სხვა დამხმარე მასალიდან გადაწერის ფაქტი, მას უფორმდება შეფასება ,,0“. ამ პუნქტში მითითებული

დარღვევების განმეორებით ჩადენა სტუდენტის მხრიდან შესაძლოა გახდეს მისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

4. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განმხილველი დისციპლინური კომისია ვალდებულია გაითვალიწინოს დარღვევის (დარღვევების) სიმძიმე და ხარისხი, მიყენებული ზიანი. ასევე, დარღვევის განმეორებითი ხასიათი და დამრღვევის დამოკიდებულება ჩადენილ დისციპლინარულ გადაცდომასთან.

5. დაუშვებელია ერთი დარღვევისათვის რამდენიმე სახდელის დაკისრება. დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან ერთად, დისციპლინის დამრღვევი ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედების შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანი (არსებობის შემთხვევაში). ერთი წლის გასვლის შემდეგ სტუდენტი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1. კოდექსის დამტკიცება, გაუქმება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე.

2. კოდექსი ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესითა და ვადებში.